ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N51

15.04.2025 წელი
13:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 15 აპრილს 13:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ანა კილაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე **თათია ბარაქაძე** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი №12-032509467-03, 04.04.2025).*
   მომხსენებელი - თათია ბარაქაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე.
2. **„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი №12-032510479-03, 04.04.2025).*
   მომხსენებელი - თათია ბარაქაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულების განკარგულების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

თათია ბარაქაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს ,,კორტებს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების პროექტს. მოგეხსენებათ, რომ ვადასთან დაკავშირებით ერთი ცვლილება უკვე განხორციელდა სააგენტოსა და კომპანიას შორის, მაშინაც გათვალისწინებული იყო რიგი გარემოებები და მუნიციპალიტეტმა მისცა ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობა, რის თანახმადაც ობიექტი უნდა ჩაბარებულიყო 2025 წლის 1 ივლისს, თუმცა ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით განმეორებით მოგვმართა შპს ,,კორტებმა“. როგორც იცით, ზემოხსენებული, მშენებარე სპორტული კომპლექსი უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის, არის ძალიან დიდი დაინტერესება მოსახლეობის მხრიდან, ასევე დიდია მოლოდინები დედაქალაქის მერის და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელი პირების მხრიდან. მაგრამ ობიექტური გარემოებების გამო, რაც პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარეობს და დაკავშირებულია მშენებლობის მიმდინარეობისას სხვადასხვა სირთულის საინჟინრო გადაწყვეტებთან, გვიწევს ვადის გახანგრძლივება. ჩამოიშალა რა ქედი, მშენებლობის მიმდებარედ, რის გამოც მერიის შესაბამისი სამსახურის მითითებით 9 თვე შეჩერებული იყო სამშენებლო სამუშაოები, რამაც განაპირობა ვადის გადაწევა, ასევე წარმოიშვა პრობლემა წყალარინების სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით. კომპანიას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დასაბუთება, რის საფუძველზეც ვახდენთ ვადის გახანგრძლივებას 11 თვით. ხელშეკრულებაში ჩაიდო, რომ ამ 11 თვის ვადაში, არათუ დასრულება, არამედ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაც უნდა მოხდეს. ჩვენ პროექტზე თანდართული სახით წარმოდგენილი გვაქვს ვიზუალიზაციაც, ასევე დამატებით პირობად ჩავუდეთ ძალიან მკაცრი სახელშეკრულებო ნორმები, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან თუნდაც ერთი დღით ვადის გადაცილება და მას სრულად აღუდგება წინამდებარე პირგასამტეხლო 170,0 ათასი ლარის ოდენობით. ეს გახლავთ ერთგვარი დაზღვევა, რომ პროექტი დასრულდეს მითითებულ ვადებში. ასევე მშენებლობის მეორე ნაწილშიც გახლავთ გარკვეული პრობლემები, რადგან ჩოგბურთის კორტების მოსაწყობად კომპანია იყენებს ისეთ მასალებს, რომელსაც მხოლოდ ხუთი ქვეყანა აწარმოებს და საკმაოდ იშვიათია, რის გამოც მას ეტაპობრივად შემოაქვს აღნიშნული მასალები, რაც საკმაო დროს მოითხოვს, აღნიშნულის გათვალისწინებით ხელშეკრულებაშიც გაიწერა, რომ 2025 წლის სექტემბრის ბოლოს ხელშეკრულების დანართის სახით წარმოდგენილი ვიზუალიზაციის შესაბამისად უკვე უნდა იყოს მოწყობილი ჩოგბურთის კორტები. რაც შეეხება პადელის მოედნებს, უკვე დასრულებულია, მაგრამ ჯერ არ ფუნქციონირებს მიმდებარედ სამშენებლო პროცესის და უსაფრთხოების ზომების გამო. კომპანიამ 7 ოქტომბერს უნდა წარმოადგინოს დასკვნა, რომ გარე ვიზუალიზაცია (სამშენებლო სამუშაოები) დასრულებულია კორტების, პადელის და სხვა მოედნების მიმართულებით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ანა კილაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა -(0),

კენჭისყრაში არ მონაწილეობდა - ნინო კვიტაიშვილი - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ ,,7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

თათია ბარაქაძე - რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს, აღნიშნული სპორტული მოედანი მდებარეობს მზიურის პარკის მიმდებარედ, რომელიც უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია ა(ა)იპ ,,7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“. პროექტის თანახმად ასოციაცია ითხოვს ობიექტის ხანგრძლივი ვადით გადაცემას, კერძოდ 10 წლით. იქიდან გამომდინარე, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა გახლავთ დედაქალაქის მთავრობის პრიორიტეტი, მუნიციპალიტეტის მხრიდან მიღებულია გადაწყვეტილება, რომ განხორციელდეს აღნიშნული ასოციაციის ხელშეწყობა. ასევე დედაქალაქის მხრიდან ხდება მოძრავი ქონების გადაცემა თხოვების ფორმით, რაც ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს საფეხბურთო მოედანზე ტრიბუნების განთავსებისთვის, შემოღობვის სამუშაოებისთვის და მოედნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით. პროექტში ვადები იდეალურადაა გაწერილი, მათ შორის გახლავთ ინვესტიციის ნაწილი, რომელიც უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად, პირველი ეტაპი 2025 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს, ხოლო მეორე 2027 წელს და მესამე 2030 წელს. ასევე ჩადებულია პირობა, რომ მუნიციპალიტეტს ნებისმიერი ღონისძიების ჩატარება შეეძლება აღნიშნულ ტერიტორიაზე, თორმეტ საათამდე ხანგრძლივობის ფარგლებში. ასოციაციასთან უზუფრუქტის ვადა იწურება 2 მაისს, შესაბამისად საკრებულოს მხრიდან, როგორც კი მიღებული იქნება გადაწყვეტილება მოხდება ძველი უზუფრუქტის შეწყვეტა და ძალაში შევა ახალი ხელშეკრულება საინვესტიციო პირობების გათვალისწინებით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ანა კილაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა -(0),

კენჭისყრაში არ მონაწილეობდა - ნინო კვიტაიშვილი - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე